ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3724088001**

თარიღი:**28/03/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ნ“ პუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების გზამკვლევი“ თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის ჩართულობით უზრუნველყოს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი